წლიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | კვირა, 21 მარიამობისთვე 1916 წ. | № 186

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება; ინახება ერთის თვის მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი. რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი [illegible] 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

[illegible]

ადრესი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი [illegible]


## კავკასიის მაჰმადიანებს

ჩემი შუამდგომლობით მეფე იმპერატორის წინაშე, კავკასიის ყველა მაჰმადიანების [illegible] სამშობლოს დასაცავად, მათმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ინება: [illegible] 25 [illegible].

ბედნიერი ვარ მცხოვრებთ ასეთი მეფური მოწყალება ვაუწყო. მრწამს, როდესაც მტრის გაწვევის ჟამი დადგება, მაჰმადიანები ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მსგავსად კავკასიის სახელოვან მაჰმადიან პოლკებისა, რომელნიც მოწინააღმდეგეს ომის დაწყებიდან ებრძვიან.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზ.**

20 მარიამობისთვე 1916 წ.


პირველ ხარისხოვანი რესტორანი
**კაფე პარიზი**
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური ხაჰმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

**ახალი მელანი**
**კოტე ონიკაშვილისა**
მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის") კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
კვირას, 21 მარიამობისთვეს
წარმოდგენილი იქნება რუსული ოპერეტა კავკასიის სიმღერები პირადან
**მეფე მხიარულობს**
მონაწილეობენ ქქ. კუზნეცოვისა, ნეიმანისა, ერნისა, ივანოვისა, ბბ. დავიდოვი, დუბროვსკი, იერმაკი, პეტროვსკი, და სხვა.
დირიჟორი ფალიაშვილი.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
(1—221—1) წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

**მოთხრობები**
ს. რემონიძისა
იყიდება „განათლების" ყველა აგენტებთან. ფასი 70 კ.
ვინც ათ ცალზე მეტს გაიწერს, თითო დაეთმობა 55 კაპ.
საწყობი—კანცელარია „განათლება"-ში, თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.
(1—308—1)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)
ორშაბათს, 22 მარიამობისთვეს
ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება
**არშინ-მალ-ალან**
აზიური ოპერეტა აჯიბეგოვისა.
აზიური მუსიკით
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1—222—1)

ყველამ იცის, რა ბედი ეწვია დაბა სამტრედიას 15 ივლისს. დაზარალებულთა შორის ყველაზედ მეტი ზარალი ბედმა მარგუნა მე და უნუგეშო მდგომარეობაში ჩამაყენა, ამისათვის ვსთხოვ ყველა ჩემს მუშტრებს შევიდნენ ჩემს მდგომარეობაში და
**ნისიები გამოგზავნონ**
წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები გამოვაცხადო მათი სახელი და გვარი გაზეთის საშვალებით, ვადას ვიძლევი ორს კვირას დღიდგან ამა ჩემი განცხადების გამოქვეყნებისა.
(2—2) პატივისცემით ბარნაბა ი. კორძაია.

ექიმი
**მ. ი. ვაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი-დოხტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
**ა. დ. შაჰაბაზიანცი**
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ახვლედიანისა

**ექიმი გ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
**ექიმი**
**დ. კ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე


## თბილისი, 21 მარიამობისთვე.

**საერთაშორისო მდგომარეობა.** ერთი წლის წინათ ომის დაწყებამდე გამოჩენილი იმპერიალისტი ვინტერშტეტენი სწერდა: „გერმანიის იმპერიამ ოფიციალად და გადაჭრით უნდა განაცხადოს ვენაში, რომ ახლა ავსტრო-უნგრეთი გერმანიისთვის წარმოადგენს არა თანაშემწეს და დამხმარეს, არამედ უდიდეს საფრთხეს... მიტომ, რომ რუმინეთის მტრული განწყობილების გამო, მას არ შეუძლიან თავისი თავის დაცვა სამხრეთ ფრონტზე და უმწეო არის რუსეთის წინააღმდეგ". ეს სიტყვები უფრო ბრძნული აღმოჩნდნენ ვიდრე ავტორს ეგონა: მართალია ერთი მხრით ავსტრო-უნგრეთმა დღევანდელ ომში თავისი ჯარით საგრძნობელი დახმარება აღმოუჩინა თავის ჩრდილოელ მეზობელს, მაგრამ ისიც უცილობელია, რომ მისმა ომში მონაწილეობამ გაართულა და გაამწვავა გერმანიის მდგომარეობა: აამხედრა და საომარ გუნებაზე დააყენა ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც გერმანიასთან აგრე რიგათ არაფერი აქვთ სადავო და გასაყოფი. ეს ითქმის იტალიაზე, რომელიც თითქმის წელიწად ნახევრის განმავლობაში მხოლოდ ავსტრო-უნგრეთს ეომებოდა ფორმალურად და კიდევ უფრო რუმინიაზე, რომელიც ბოლო დრომდე გერმანიასთან იყო შეკავშირებული არა მარტო დინასტიური ნათესაობის კავშირით, არამედ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობითაც. თუ დღეს ეს ურთიერთობა დაირღვა და რუმინია გერმანიის მტრების ბანაკს მიეკედლა, ამაში ბრალი მხოლოდ ავსტრო-უნგრეთს ედება და მის პოლიტიკას ტრანსილვანიასა და ბუკოვინაში. ამ პოლიტიკის წყალობით სამი მილიონი რუმინელი ხელფეხ შებოჭილი უნგრელების განკარგულებაში იმყოფებოდა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, და ეს მდგომარეობა მით უფრო მწვავედ საგრძნობელია, რომ გაბატონებული ერი უმცირესობას წარმოადგენს ტრანსილვანიაში.

როგორც გაზეთები იუწყებოდნენ თვით გერმანიის დიპლომატია ავსტრო-უნგრეთს იმ თავითვე დათმობის პოლიტიკის წარმოებას ურჩევდა რუმინიის შესახებ. მაგრამ როგორც სჩანს უნგრელები ჯიუტობდნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში. უნგრელები ყველაზე ნაკლებ არიან გამსჭვალულნი ჰაბსბურგის მონარქიის იდეით და ბევრს არაფერს დაჰკარგავენ თუ ეს სახელმწიფო დაინგრა. პირიქით ადვილი შესაძლებელია, რომ მათ ისარგებლონ ავსტრიის გაჭირვებით და სცადონ უნგრეთის სრული გამოყოფა, თუ კი ამისთვის მოხერხებული შემთხვევა მიეცათ. ყოველ შემთხვევაში, როგორც სჩანს, შეთანხმების სახელმწიფოები სერიოზულად ანგარიშს უწევენ ასეთს შესაძლებლობას.

რუმინიის გამოსვლამ და ავსტრია-უნგრეთის უმწეობამ კიდევ უფრო საგრძნობელი გახადა გერმანიის მარტოობა ხუთი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვერდენის აპერაციამ, იძულებულმა უმოქმედობამ აღმოსავლეთის ფრონტზე ნათელ-ჰყვეს, რომ გერმანიას ცოცხალი ძალა აკლია ფართო შეტევის გასაგრძობათ და დასათავრგვინებლათ. ძალთა-განწყობილება ახლა კიდევ უფრო ნაკლებ ხელსაყრელი გახდა ცენტრალური სახელმწიფოებისათვის. დაახლოებული ანგარიშით გერმანიისა და მისი მოკავშირეების მცხოვრებთა რაცხვი 130 მილიონს უდრის. შეთანხმების სახელმწიფოები კი 300 მილიონზე მეტს შეიცავდნენ რუმინიის გამოსვლამდე, იაპონიისა და ინგლის-საფრანგეთის ახალშენების გამოკლებით. ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ, რომ ხანგრძლივი ომის გასაძლოლად რუსეთ-ინგლის-საფრანგეთს ერთი დიდი უპირატესობა იქვს, რომლის ანაზღაურებაც ძნელია მანქანებითა და იარაღებით. მით უმეტეს, რომ მათ ახალი დასვენებული მოკავშირე შეემატათ. 40 წლის წინათ, როცა ბუქურეშტის ტახტზე კარლოს I იჯდა, ხოლო სამინისტროს დღევანდელი მინისტრ-პრეზიდენტის მამა იონ ბრატიანუ განაგებდა, რუმინიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია რუსეთს ოსმალეთთან ომში. რუმინელმა ჯარებმა გადაარჩინეს რუსები კატასტროფას და პლევნა აალებინეს. საფიქრალია, რომ რუმინიის ჯარის დახმარება დღევანდელ ომში ბევრით უფრო მნიშვნელოვანი იქნება. კარლოს პირველი ჯარის კაცი იყო აღზრდით და იდეალებით. მისი საზრუნავი იყო გერმანულ წესზე გაეწრთვნა თავისი ჯარი. უნდა ვიფიქროთ რომ, თავის ხანგრძლივ მეფობაში მან სავსებით მიაღწია თავის საწადელს.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის გამოსვლას უსათუოდ რომელიმე ასპარეზზე გენერალურ ოპერაციის განახლება უნდა მოჰყვეს, ვინაიდან ბალკანეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ორივ მოპირდაპირესათვის. არცერთი მებრძოლი მხარე არაფერს არ დაზოგავს თავის ხელსაყრელად გამოიყენოს ეს ასპარეზი და შეეცდება აწარმოვოს შეტევა, როგორც ბალკანეთში ისევე მთავარ ასპარეზით. თავისთავად ცხადია, რომ დღეს ბალკანეთის ბედიღბალის დამტრიალებელი ისევე რუსეთი გამოდის. რუმინეთის გამოსვლამ გზა გაუხსნა ბულგარეთისკენ და პირისპირ დააყენა რუსეთი ბალკანეთში მომქმედ მტრის ჯარებთან. ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი ვერ გამოიყენებს ბალკანეთს მთავარ საოპერაციო ბაზად, ვინაიდან ჯარის სიმცირე ხელს არ უწყობს ამ მიზნის განსახორციელებლად. სამაგიეროდ რუსეთი ისარგებლებს რუმინეთის რკინის გზებით და ბულგარეთის წინააღმდეგ გამოიყვანს იმდენს ხიშტს, რამდენიც საკმაო იქნება მის ასალაგმავად. ჩვენ ყველას უფრო რასაკვირველია გვაინტერესებს თუ რას იზამს გერმანეთი ახლა, რა გზას დაადგება ან და უფრო ვის წინააღმდეგ დაიწყებს შეტევას? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები უსათუოდ რუსეთს დაუწყებენ შეტევას. მათ კარგათ ესმით, რომ რუსეთის დამარცხების შემდეგ ბალკანეთის ბედიც მათ ხელსაყრელად იქნება გადაწყვეტილი. ვერც რუმინეთი და ვერც მოკავშირეთა ჯარი გენ. სარაულის მეთაურობით ვერ შესძლებენ მარტო თავიანთ ძალღონით ბალკანეთის დაპყრობას, თუ რუსეთი მთავარი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი არ იქნება. მაშასადამე, თვით გერმანეთი უეჭველია შეეცდება უფრო რუსეთს შეეკვეთოს, ბრძოლაში ჩაითრიოს და ამით ბალკანეთის ოპერაციებში გადამწყვეტი როლის შესრულების საშუალება მოუსპოს. შეეძლოთ გერმანეთს და ავსტრიას პირდაპირ რუმინეთის წინააღმდეგ გაელაშქრათ, მაგრამ ამას უფრო შურის ძიების ხასიათი ექნებოდა და საბოლოოდ მაინც ვერ გადასწყვეტდა ბალკანეთის საკითხს. თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ დღეებში მოსულ ოფიციალ ცნობებს, დავინახავთ, რომ თვით რუმინეთის წინააღმდეგ არც გერმანეთი და არც ავსტრია არავითარ ფართე ოპერაციას არ იწყობენ. მხოლოდ დუნაიზე მათმა ფლოტმა სროლა აუტეხა რამოდენიმე ქალაქს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. სამაგიეროდ თვით რუმინეთმა უკვე გადალახა ავსტრიის საზღვარი და როგორც გუშინდელი დეპეშა იტყობინება, მათ უკვე კრონშტატიც კი აუღიათ. ეს უბრალო ქალაქი კი არა, ციხე-სიმაგრეა. ასე ადვილად მიტოვება მტერის მხრივ ცოტა არის ეჭვებს ჰბადებს და გვაფიქრებს, რომ უსათუოდ იგი წინდაწინვე გარკვეულ გეგმას ანხორციელებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდლამდე არც ერთ ცნობაში არ არის ნათქვამი გერმანელების ჯარის შესახებ, რომელიც, როგორც დანამდვილებით ირწმუნებოდენ, უნდა ყოფილიყო დამზადებული რუმენეთის წინააღმდეგ. უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, რომ ავსტრია-გერმანეთი უფრო მორიგებითი გზას დაადგებიან და მთავარ ძალებით ოპერაციის წარმოებას უფრო აღმოსავლეთ ასპარეზისაკენ გადაიტანენ. ეს კიდევ, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ მარტო ბულგარეთს არგუნებენ ამ საყურადღებო ბრძოლის ველზე მოპირდაპირეთა გამკლავებას. ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადება მომასწავებელია იმისა, რომ ბულგარეთს დიდს დახმარებას მისცემსო. არც ავსტრია-გერმანეთს დააკლებს შველას, მხოლოდ მთავარი მამოძრავებელი ძალა ბალკანეთში მაინც ბულგარეთი იქნება.

როგორც ზევითა ვსთქვით გერმანელების და ავსტრიელების მოქმედება თითქო გამორკვეულია. ტრანსილვანიაში იგი მოგერებითი გზას დაადგება და შეტევას რუსეთის წინააღმდეგ დაიწყებენ. ერთის მხრივ ამის ნიშნები თითქმის უკვე არის ნაჩვენები გუშინდელ მთავარ შტაბის გადმოცემაში.

იქ ნათქვამია: გერმანელებმა ვლადიმირ-ვოლინსკის მიმართულებით დაბა სვინოზასთან სასტიკი ბრძოლა დაიწყესო. აგრეთვე ბრძოლააო ოლექსინსკის დასავლეთით. მეტად დიდ მნიშვნელოვანი ადგილებია კოველი და ვლადიმირ-ვოლინსკი, მით უმეტეს ახლა, როდესაც რუსებმა ბრძოლის ველი უფრო გააგრძელეს და სამხრეთის წვერი ბულგარეთს მიაბჯინეს. აქ დაწყებული შეტევა გერმანელების მიერ ნათელს ჰფენს მათს განზრახვას. გარდა იმისა, რომ იგინი ბრძოლის ხაზის გარღვევას შეეცდებიან, ალბათ ჰფიქრობენ ლუცკის მიმართულებით სამხრეთით დაეშონ და იმ რუსეთის ჯარს, რომელიც გალიციაში და ბულგარეთში რუმინეთით იმოქმედებს, საკვები გზები გადაუჭრას. ამავე დროს თითქოს, ბარანოვიჩიც რაცხას აპირებს. ეს ორივე ბრძოლის პირი იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ყოველთვის, როდესაც ერთი მეორეს გამოეხმაურება ხოლმე, ვფიქრობთ დიდ ოპერაციის დაწყებაზე. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბრძოლა საფრანგეთის ასპარეზზე უამინდობის გამო თითქმის სრულებით ჩაჩუმდა და გერმანეთმაც არ შეიძლება არ ისარგებლოს ამ მომენტით, მაშინ უფრო ჭეშმარიტად მართალნი არიან ისინი, ვინც ამტკიცებენ გერმანეთის მიერ ოპერაციის დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ რუმინეთის გამოსვლა მეტად გვიან მოხდა. შემოდგომის უამინდობა არავის ნებას არ აძლევს ფართო ოპერაციები აწარმოოს. ეს მოსაზრება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვერც გერმანეთი გახდება რასმეს და იძულებული იქნება ისევე ჯეროვანი ყურადღება ბალკანეთს მიაქციოს.

კავკასიის ბრძოლის ველზე გიუმიშხანის მიმართულებით ოსმალებს გაურღვევიათ რუსეთის ბრძოლის ველი და თითქმის არტილერიაც კი დაუტყვევებიათ, მაგრამ რუსებს სასტიკი იერიში მიუტანიათ და ყველაფერი უკან დაუბრუნებიათ. აქ დაწყებულ შეტევას შეიძლება მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი ჰქონდეს. ზოგიერთ დანარჩენ ადგილას რუსები წინ მიიწევენ

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი,** 19 მარიამ. მთავარ შტაბისაგან. დასავლეთი ფრონტი. როდესაც პოზიციას ვუვლიდით, ლაბუზისთან (სამხრეთ აღმოსავლეთით) დივიზიის უფროსი გენერალ-მაიორი ნიკიტინი მოკლულ იქმნა. ვიგონოვის ტბიდან სამხრეთით, ოგინსკის არხთან ჩვენმა არტილერიამ მოწინააღმდეგის ჰაეროპლანი ჩამოაგდო, რომელიც ჩამოვარდნისას დაიწვა. ვლადიმირო-ვოლინის მიმართულებით, ვოკაჩის მიდამოებში, სვინიუხასთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მოწინაალმდეგეს სასტიკი იერიშები მოაქვს. ოლექსინეციდან დასავლეთით აგრეთვე სასტიკი ბრძოლაა. ამავე მიდამოებში ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეთა ჰაეროპლანებმა რამდენჯერმე დაგვზვერეს. ჩვენმა მფრინავმა ფილიპოვმა მზვერავ პოდპორ. ხრიზოსკოლეოსთან ერთად ჰაეროპლანებზე იერიში მიიტანა, რომელიც დააზიანეს და ძირს ჩამოაგდეს. გალიჩის მიმართულებით მდ. გოროდანკის მიდამოებში სასტიკი ბრძოლაა. კარპატებში მთა ტომანატაკის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მთელი რიგი სიმაღლეებისა აიღო, დორნა ვატრის მიდამოებში ჩვენ რამოდენიმედ დასავლე-

თით წავიწიეთ. მთელ დღეს 18 მარიამობ. ამ რაიონებში ტყვედ შევიპყარით 289 ოფიცერი და 15,501 მეომარი, მათ შორის 2400 გერმანელია. ხელთ ვიგდეთ 6 ზარბაზანი, 55 ტყვიისმფრქვეველი და 7 ყუმბარის მსროლელი.

**კავკასიის ფრონტი.** გიუმიშხანის და ერზინჯანის მიდამოებიდან დასავლეთით ოსმალებს იერიშები მოჰქონდათ, რომელთაც ყველგან ვიგერიებდით. ოგნოტის მიდამოებშიაც ოსმალების იერიშები შევაჩერეთ. იერიშის დროს ოთხმა ოსმალეთის პოლკმა გაარღვია ჩვენის თურქესტანის პოლკის ფრონტი და ჩვენი არტილერიის პოზიციებზე გადაიარეს. მამაცმა თურქესტანის პოლკმა ხიშტებით მოწინააღმდეგე დასავლეთით უკუ აგდო და ხელახლად თავისი ადგილი დაიჭირა, ამასთანავე დაიბრუნა თავისი მთელი არტილერია, რომელმაც იმ წამსვე ოსმალებს სროლა აუტეხა. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი მიიღო. ოგნოტის რაიონში ტყვეები შევიპყარით და 3 ტყვიისმფრქვეველი წამოვიღეთ. ეფრატიდან ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ს. ჩორმუკი აიღო და შემდეგ იერიში მიიტანა ამ სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით სიმაღლეებზე. აქ ოსმალებზე ხიშტით მივიდნენ და არევ-დარევით უკუ აქციეს.

## რუმინეთის გარშემო.

**ბუქარესტი,** 18 მარიამობისთვე. დილის ოფიციალი ცნობა. ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ ფრონტზე ჩვენი ჯარი ყველა მიმართულებით განაგრძობს წინ სვლას. დავიპყარით ტოგანული, ბეკიუ, ბრაშოვი (კრონშტადტი), სადაც დავინიშნეთ რუმინელი მოურავი, აგრეთვე ჩიქმენშაგი, ჩექსერედა და მთა პედეგლოვე, ტოპლეცის ერთი ვერსის ჩრდილო-აღმოსავლეთით; აქედან ჩვენ ვესვრით ორშოვა-კარანშებეშის რკინის გზას; დანაკლისი მცირე გვაქვს; დავატყვევეთ 15 აფიცერი და 1800 ჯარის კაცი, ასი ვაგონი და ურმები; სამხრეთის ფრონტზე ავსტრია-ჰუნგრეთის გემებმა ესროლეს ჩორიოის, ტურნუ-მაგურელეს ახლო; მტრის ჯარმა გადალახა ჩვენი საზღვარი, მაგრამ როგორც-კი შევუტიეთ, მაშინვე უკან დაიხია.

**ბუქარესტი,** 16 მარ. (დაგვიანებულია გადმოცემით) ოფიციალი ცნობა. 14 აგვისტოს ღამით ჩვენმა ჯარმა გადალახა-რა ჩრდილოეთის დასავლეთ-ჩრდილოეთის საზღვრები, დაიწყო ენერგიული მოქმედება. ჩვენმა არტილერიამ, ვერჩეროვთან, სროლა აუტეხა ორშოვს და გაანადგურა ნავთის საწყობი. მე-4 კორპ. ტყვედ წამოიყვანა 734 ჯარისკაცი და 7 აფიცერი. სამხრეთის ფრონტზედ მტრის შეიარაღებულმა ბუკსირმა სროლა აუტეხა ჩვენს ბატარეებს, რომელთა ცეცხლმაც იძულებულ-ჰყო ბუკსირი საჩქაროდ შეეწყვიტა სროლა. რუსეთის ჯარი უახლოვდება დობრუჯს. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ესროლეს ბალჩიკს, პიატრის და ნიამცის, თუმცა არავითარი ზარალი არ მიუყენებიათ.

**ბუქარესტი,** 19 მარიამობისთვე. ოფიციალი ცნობა. ჩრდილოეთის და დასავლეთ-ჩრდილოეთის ფრონტებზედ ჩვენი ჯარის შეტევა გრძელდება. ხელთ ვიგდეთ სიბიუს (გერმანშტადტი) სამხრეთით მდებარე ადგილები, კეზდიკასარილლი, რაკოვიცა და კისნადია. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1537 ჯარისკაცი და 7 აფიცერი. პეტროშენში და კაინენში ხელთ ვიგდეთ რკინის გზის საწყობები. სამხრეთ ფრონტზედ მოკავშირეთა ჯარები მოვიდენ თავის შესაკრებ რაიონში.

მფრინავთა მოქმედება. მტრის ჰაეროპლანმა ორი ყუმბარა ჩამოაგდო სასანიტარო კოლონაზედ, რომელიც გამოდის პიატრიდან ნიამციში. მსხვერპლი არ არის. გერმანეთის მთავრობამ განაცხადა ომის მდგომარეობა რუმინეთისადმი.

**სტოკჰოლმი,** 19 მარიამობისთვე. ბერლინიდან გვატყობინებენ: გუშინ საღამოთი რუმინეთის ელჩმა სოფიაში მოითხოვა პასპორტები.

**ბუქარესტი,** 17 მარიამობისთვე. ბულგარეთის და ოსმალეთის ელჩებმა ბუქარესტში მოითხოვეს პასპორტები. რუმინეთის წარმომადგენლებმა სოფიაში და კონსტანტინეპოლში მიიღეს წინადადება ასევე მოქცეულიყვნენ. მდ. დუნაიზე მდებარე ზოგიერთ ქალაქებს სროლა აუტეხეს ავსტრიელ მონიტორებმა.

## დასავლეთის ფრონტი.

**პარიზი,** 19 მარიამობისთვე. ოფიციალი ცნობა. სომმის ფრონტზედ ფრანგების არტილერია ანვითარებდა მოქმედებას ესტრე-სუაკურის მიდამოში. უაზის და ენის შუა ფრანგები უეცრივ დაეცნენ გერმანელთა სანგრებს. წამოიყვანეს ტყვეები. აპრემონის ტყესთან, გერმანელთა შეტევას შედეგი არა ჰქონია. ლეპრეტრის ტყის აღმოსავლეთით, გერმანელთა მოულოდნელი დაცემის სურვილი ვერ გამართლდა, დანარჩენ ფრონტზედ ღამემ მშვიდათ გაიარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### დობრუჯში.

„ბირჟევია ვედომოსტების“ აზრით რუმინეთის პირველი დიდი შებრძოლება სწორედ დობრუჯაში მოხდება; ეს ერთად-ერთი დუნაეს იქითი მხარეა, რომელიც სწორე მაღლობს წარმოადგენს, თორემ სხვა ადგილი რუმინეთ-ბულგარეთის საზღვრისა სულ მდინარეებით არის დასერილი და აქვე იწყება ტყით დაბურული მცირე ბალკანეთის ქედი; მთელი ეს შავი ზღვისა და დუნაეს შუა მხარე დაცულია სამი ბულგარული ციხით (რუშჩუკი, შუმლა, ვარნა); აქ სდგას 140 ათასი ბულგარელი, დანარჩენი სალონიკის ბრძოლის პირზე სდგას; რადგან მთელი რუმინეთის და ბულგარეთის საზღვარი 500 ვერსს უდრის და მისი დაცვა მარტო ჯარის ძალით ძალიან ძნელია, ამიტომ ბულგარელებიც იმ სამ ციხის სამკუთხედს დაეყრდნობიანო.

### ბალტიის ზღვაში.

რადიოს სააგენტოს ცნობით გერმანეთი ყოველივე ზომას ხმარობს შვეციის და ინგლისის შუა მისვლა-მოსვლის მოსასპობად; რამოდენიმე გერმანელი ნაღმოსანი სდარაჯობს ბოტნიკის ყურეში; აქვე მუდმივა დაფრინავს 15 ცეპელინი.

### რუმინეთის ასპარეზზე.

პეტროგრადის „რეჩი“ სწერს რუმინეთის ასპარეზის შესახებ: „რუმინელების მთავარი ჯარი შეესევა ავსტრია-ჰუნგრეთის საზღვარს, მოკავშირენი (რუსები, ფრანგები და ინგლისელები) კი ზურგს გაუმაგრებენ მას და შეუტევენ ბულგარეთსო“.

### ნაღმები ფინლიანდიასთან.

შვეციის გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალი ცნობა, რომ ფინლიანდიის ნაპირების ახლო წყალი დანაღმულიაო; ნაღმები როგორც ფიქრობენ, გერმანელების ჩაწყობილია.

### ავსტრიელების შეცდომა.

ჰუნგრეთის პარლამენტის სხდომის დროს ერთს წევრს განუცხადებია,— თუ რუმინეთი ავსტრიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ამის მიზეზი სწორედ იმაში ეძიეთ, რომ ავსტრიის შტაბმა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა როდესაც გაზაფხულზე მარცხად შეუტია იტალიასო.

### საბერძნეთი და მოკავშირენი.

მოკავშირენი დიდის ეჭვით უყურებენ მათ ზურგს უკან მდგომ ბერძენთა ჯარს, რომელთა სარდლები გერმანელთა მოყვარული არიან; ამის გამო განზრახულია მოსთხოვონ საბერძნეთის მთავრობას დაუყოვნებლივ მოახდინოს პარლამენტის ახალი არჩევნები, რათა გამოსცვალოს ახლანდელი მინისტრები და ხელმწიფება ვენიზელოსს ჩააბაროს.

### იაპონელების ჯილდოები.

ცინდაოს აღებისათვის იაპონიას 170,000 სამხედრო ჯილდო დაურიგებია, როდესაც თვით ცინდაოს ოპერაციაში მონაწილეობდა თურმე სულ 60,000 კაცი; ამისათვის პარლამენტის ორ წევრს კიდეც უარი განუცხადებია მიღებულ ჯილდოზე.

### ამერიკის სესხები.

ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოს სულ რამდენიმე მილიარდი ფრანკი უსესხებია ორივე მეომარ მხარისათვის.

აქედან ინგლისს აუღია 2.700.000,000, საფრანგეთს 1.100.000,000, იტალიას 125.000,000 და გერმანეთს 139.000,000 ფრანკი.

ამის გარდა საბერძნეთს უსესხია 35.000,000 და შვეიცარიას 75.000,000 ფრანკი.

### „დეიჩლანდის“ გარშემო.

ამერიკიდან გერმანეთში დაბრუნებულ წყალქვეშას სანახავად თურმე აუარებელი ხალხი აწყდება ქალ. ბრემენს; თვით ნავთსაყუდელი, სადაც ნავი სდგას, თეატრად გადუქცევიათ და ადგილებს ზღაპრულ ფასათ ჰყიდიან; ნავის უფროსი კენიგი თვით ვილჰელმს დაუჯილდოვებია.

## უკანასკნელი დეპეშები

ავსტრიის შტაბი იტყობინება: ექვსას კილომეტრის სიგრძეზე ავსტრიელებმა რუმინელებთან ბრძოლა დაიწყეს. რუმინელების ძლიერმა ჯარის ნაწილმა წინ წამოიწია და ავსტრიელებმა უკან დაიხიეს.

—

ვენის გაზეთები ჰუნგრეთს აბრალებენ, რომ რუმინეთის მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და ამით აიძულა ომში ჩარეულიყოო, ბერლინის პრესა ხალხს მოუწოდებს დამშვიდდით, სახიფათო არაფერი მოხდებაო.

—

საბერძნეთში ოფიცერთა შეთქმულობა აღმოაჩინეს. ოფიცრებს განზრახვა ჰქონიათ: ბულგარეთის და გერმანეთის ჯარით შემოევლოთ სერბეთის მარცხენა მხარე, აეჯანყებინათ საბერძნეთის ზოგიერთი კუთხეები და სარაილის ჯარის წინააღმდეგ გაელაშქრებინათ.

—

ბუქარესტში ცეპელინებმა რამდენიმე ყუმბარა ჩააგდო. რუმინეთში ხუთასამდე ავტომობილი და 3,000 ვაგონი დარჩა.

—

უკანასკნელ დამარცხების გამო საფრანგეთის ფრონტზე 15 გერმანელი გენერალი თანამდებობიდან გადააყენეს.

—

რუმინეთის მოწინავე რაზმები რუტურღურმთან კარპატის გასავალში შეიჭრნენ.

—

გერმანელები იმით უფრო არიან ნაწყენნი, რომ ხელშეკრულობის ძალით რუმინეთში მრავალი სამარი მასალა შეიტანეს. გერმანეთის მთავრობა აცხადებს: ჩვენ თუნდაც რუმინეთიდან ხორბალი არ გამოვიტანოთ, არაფერი არ დაგვაკლდებაო.

—

მიტროპოლიტი პიტირიმი გენერალმა შვედოვმა ინახულა. ამ გენერალს უწ. სინოდის ობერ-პროკურორის კანდიდატად ასახელებენ, მაგრამ მომეტებული შანსები ჯავახოვის მხარეზეა.

—

კავკასიის სამკურნალო წყლები სამთამადნო დეპარტამენტს ჩამოერთმევა და სამეფისნაცვლოს გარდაეცემა.

—

აღმოსავლეთ მაკედონიიდან ბერძნების ლტოლვა გრძელდება. 80,000 გამოქცეული ცოლშვილით კავალთან დაბანაკდა, ხოლო 8.000—ებაზოსთან. 3.000 ბერძენი მეომარი მთავრობას არ დაემორჩილა, ბოლგარებს შეებრძოლა, გასწმინდეს სერესი და ცაგეზისკენ დაიხიეს.

—

ხმა გავრცელდა, ვითომ გერმანეთში 45 წლიხანი გაეწვიოთ, ვოლფის სააგენტო ამას უარჰყოფს და ამბობს ვიდრე ბრძოლის ველზე საფუძვლიანი ცვლილება არ მომხდარა, მათი გაწვევა საჭირო არ იქნებაო. პირიქით მთავრობას ჰსურს უფროსი მოთადარიგენი შინ დააბრუნოს. ამ ცნობის საწინააღმდეგო ცნობაც არის.

—

რუმინეთის გამოსვლა დიდ გავლენას მოახდენს საბერძნეთზე და ბულგარეთსაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. განსაცდელში ჩავარდება ბერლინ - კონსტანტინეპოლ-ბაღდადში პირდაპირ მიმავალი გზა.

—

დობრუჯის საზღვარზე ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი გამოჩნდა. მთლად რუმინეთი საზღვარზე 600,000 ბულგარელი, ოსმალო და გერმანელი სდგას.

—

სანდო პირების რწმუნებით, მოკავშირეებმა რუმინეთთან პოლიტიკურ ხელშეკრულობის გარდა, პირობაც დასდეს, რომ რუმინეთის ჯარმა სხვა მოკავშირეებთან ერთად შეთანხმებულად უნდა იბრძოლოსო.

—

ინგლისიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო მინისტრს კიდევ 161 ქარხანა დაუქვემდებარებია თავისი უწყებისათვის; სულ ახეთი ქარხნების რიცხვი 3.212 ყოფილა.

—

განზრახულია რკინის გზის გაყვანა ბათომიდან ყარსამდე ართვინით არტანუჯით. ეს გზა შეუერთდება ალექსანდროპოლის ლიანდაგს და თავრიზს ბათომს დაუკავშირებს.

—

გერმანეთმა ოფიციალად გამოაცხადა ხელის მოწერა მეხუთე სამხედრო სესხზედ. ჯამი სესხისა არ არის გამოცხადებული.

—

საბერძნეთის მთავრობამ ერთი კვირით აკრძალა მანიფესტაციების მოწყობა; მიზეზად იმას ასახელებს, რომ გართულებული მდგომარეობა მშვიდ მსჯელობას მოითხოვსო.

—

ჩინეთმა ორი პრინცი გაგზავნა აჯანყებულ მონგოლეთის დასაშოშმინებლად; ჩუინციატუნში იაპონელებთან მომხდარ შეტაკების გამო პარლამენტის დახურული სხდომა არის დანიშნული.

—

ჩრდილოეთ კავკასიაში პურის ფასმა მეტად აიწია

—

იტალიის ელჩს ათინაში განუცხადებია: ჩვენ თუ ეპირის სანაპიროები დავიჭირეთ, ეს იმიტომ, რომ სტრატეგიულად საჭირო იყო, თორემ სხვა ბოროტი განზრახვა იტალიას არა აქვსო.

—

შტიურმერის თავმჯდომარეობით მომხდარ კრებაზე უკუგდებულ იქმნა წინადადება პეტროგრადიდან სასწავლებლების ევაკუაციის (გადატანის) შესახებ.

—

მოკავშირეებმა საბერძნეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს მიჰყვეს ხელი.

—

ბულგარელების ოპერაციას ბალკანეთში ფრანგები დემონსტრაციად ჰხსნიან. მათის აზრით ბულგარელებს ფლორინთან საკმარისი ჯარი არ ჰყავთ; მთავარი ძალა თავმოყრილია აღმოსავლეთის ფლანგზე, სადაც ინგლის-საფრანგეთი ენერგიულად მოქმედობსო.

—

შემოდგომაზე ინგლისი ახალ სესხის გამოშვებას აპირობს.

—

ბალკანეთში რუმინეთის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს მაკენზენი ხელმძღვანელობს.

ზესტაფონის საკრებულო დარბაზში კვირას, 31 მარიამობისთვეს შესდგება საღამო **თეოფილე იესეს ძის ხუსკივაძის** 35 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

## ახალი ამბავი

**ჯარში გაწვევა.** პირველ და მეორე ხარისხიანთა გაწვევა ჯარის კაცთა შესახებ სიები მართალია სდგება ამ ჟამად, მაგრამ თუ უმაღლესი ბრძანება არ გამოცხადდა 25 მარიამობისთვემდე, ამ ხარისხიანთა გაწვევა ისევ ძველ პირობებით მოხდება და არა ისე, როგორც ამ დღეებში იყო გამოცხადებული ადგილობრივ გაზეთებში.

**ოქროს მადნებიანი მიწები.** კავკასიის სამთო გამგეობა აუწყებს მსურველთ, რომ თბილისის გუბერნიაში გაიცემა იჯარით ის მიწები, რომელშიაც ოქროს მადნის ნიშნები ეტყობა. დაწვრილებით ამ მიწათა სიების ნახვა გამგეობის ბინაზე შეიძლება.

**სალაქის საბჭოს პირველი სხდომა** 10 ენკენისთვესაა დანიშნული.

**არმაზში** მიემგზავრება ხვალ ეპ. ანტონი გორისა.

**ხაშმის სას. საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა წერა-კითხვის მთავარ-გამგეობასთან ამ სოფელში ფილიალ განყოფილების დაარსების შესახებ.

**ორშაბათის გაზეთი.** ნაფიც ვექილმა თ-დ ა. ი. ანდრონიკაშვილმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე ყოველ კვირეულ უპარტიო გაზეთის გამოცემის შესახებ თბილისში რუსულ ენაზე „კავკასკი ლისტოკის“ სათაურით.

**მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირში** ინსტრუქტორად მიწვეულ იქნა გ. ი. კანდელაკი.

**ქალაქის გასუფთავება.** ამ ჟამად ქალაქის სხვა და სხვა უბნებს ასუფთავებენ სახლის პატრონები. ხევების და მტკვრის პირის გასაწმენდად 100 მუშაა მოწვეული. ნაგავს კირით სწვავენ.

**ქალთა უმაღლეს კურსებზე.** გამგეობა ქალთა უმაღლეს კურსებისა ამ ჟამად ეძებს ბინას სამედიცინო ფაკულტეტისათვის 200 მსმენელთათვის. დღემდე სამედიცინო ფაკულტეტზე შესვლის სურვილი განუცხადებია 150 ქალს.

**ხოლერა.** 20 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა ხოლერიანი 57 სული და საეჭვო 7.

**ახალგაზდა პრივატ-დოცენტი.** ოდესის უნივერსიტეტის საფიზიკო ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტად მიწვეულ იქმნა ჩვენი ახალგაზდა თანამემამულე ბ. ბერიტაშვილი, რომელიც უკვე გაემგზავრა ოდესაში.

**ხუდადოვის ცხედრის გადასვენება.** სათანადო მთავრობამ შეიწყნარა ქალაქის მოურავის შუამდგომლობა ყოფილ ხმოსნის ნიკო ხუდადოვის ცხედრის გადასვენების შესახებ ვერის სასაფლაოდან ხუდადოვის ტყეში ნაძალადევში.

**დუშეთი.**

სალაპარაკო გახდა უცნაური ამბავი, რომელიც ს. დავათში მოხდა. თვენახევრის წინად უკვალოდ დაიკარგა ამ სოფლის მცხოვრები იოხა ოდიშელიძე. მთელი სოფელი, როგოროც ერთი კაცი და აგრეთვე ნათესაობა ოდიშელიძისა ტყუილად თავს იმტვრევდა მის ძებნაში. ასავალ-ჩასავალი ამ ამბავს ვერავინ მოუხერხა და საიდუმლოებით იყო მოცული ოდიშელიძის დაკარგვა.

ამ ჟამად დუშეთის მაზრის უფროსმა თ-დ ირ. ივ. ბარათაშვილმა ამ საიდუმლოებით მოცულ ამბავს ფარდა ახადა, მთელი ბოროტმოქმედების კვანძი ხელში ჩაიგდო და დამნაშავენი უკვე შეიპყრო და გამომძიებელს გადასცა.

იოხ ოდიშელიძე 11 მკათათვეს მინდვრიდან წაუყვანიათ ვიღაც უცნობებს, იქვე ტყეში შეუყვანიათ და ერთ ხევში თოფ-ხანჯლებით მოუკლავთ. ღამე, როცა მთელ სოფელს სძინებია, მისულან, ცულით შუაზე გაუჭრიათ ოდიშელიძის გვამი, ჩაუწყვიათ ტომრებში და სოფ. ჰოპორტის ახლო ერთ ნახშირის საწვავ ორმოში ჩაუყრიათ და ზედ მიწა დაუფარებიათ. ეხლა, როგორც მაზრის უფროსის თ-დ ბარათაშვილის სასტიკ გამოძიებით აღმოჩნდა, ეს უცნობი პირნი ყოფილან გამოქცეულნი ჯარიდან დ. თურქაშვილი და ა. ოდიშელიძე, რომელთაც ხელმძღვანელობდა განსვენებულის მოსისხლე მტერი მისივე ბიძაშვილი პავლე ოდიშელიძე, რომელსაც მთელი ეს მკვლელობა მოუწყვია.

მაზრის უფროსისაგან ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ყველა დამნაშავენი გამოტყდნენ იოხ ოდიშელიძის მკვლელობაში და ყველანი დაპატიმრებულ იქმნენ. ყველა ნივთიერი საბუთებიც თ-დ ბარათაშვილმა წარუდგინა გამომძიებელს და მოახსენა გუბერნატორს.

**დ. ბორჯომი.**

სამშაბათს, 23 მარიამობისთვეს, ადგილობრივი საზოგადოება უმართავს ბენეფისს ქართულ თეატრის მსახიობს **სოსო ჟვიძეს**, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ გამართა რამდენიმე წარმოდგენა ადგილობრივ წ. კ. გ. ს. განყოფილების სასარგებლოდ და აგრეთვე ეხმარებოდა სხვა გამმართველთაც. წარმოდგენაში სხვათა შორის მონაწილეობას იღებენ დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე და ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი.

**დ. ხონი.**

შაბათს, 13 მარიამ. ადგილობრივ თეატრის დარბაზში წარმოადგინეს: „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდენ“, „უამინდობის გამო“. ხალხი ცოტა დაესწრო.

— ერთი კვირის წინად აქ გაიხსნა კოოპერატიული კურსები, რომელიც გაგრძელდება 20 აგვისტომდის.

— ხონის კოოპერატივმა „იმედმა“ მიიღო 120 ფუთი ფხვნილი შაქარი. იყიდება წევრებზე და არა წევრებზე.

— ორშაბათს, 15 აგვისტოს, წარმოადგინეს „ორი გმირი“ ვ. გუნიასი. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩნენ.

**შორაპნის მაზრა.**

მთელ მაზრაში შიმშილობა მძვინვარებს, სიმინდის შოვნა გაჭირდა; ყვირილისა და ბელაგორის საკრედიტო ამხანაგობანი თითო-ოროოლა ფუთს სიმინდს ურიგებენ ნახევრად დამშეულ ხალხს, ამათი დახმარება წვეთია ზღვაში. სიმინდის მოსავალსაც არ უჩანს ხეირიანი პირი; ვენახები ბევრგან სრულიად გაფუჭებულია ნაცრისაგან; ბევრ სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს საქონელს, რაღა ეს ახალი უბედურება ეჭირვებოდა ისეთაც გაძვალტყავებულ ხალხს.

**ს. კიცხი.**

ადგილობრივი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა ჯეროვნად ვერ ეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს, ძალიან ცოტას ზრუნავს ნახევრად გაჭირვებულ ხალხს სიმინდი მიაწოდოს. ამხანაგობის დანიშნულება მარტო ფულის გასესხება-შენახვაში არ მდგომარეობს, საჭიროა გამგეობამ მეტი ფხა გამოიჩინოს.

**ს. ლაშე.**

ბ-ნ ივ. მაჭავარიანს [illegible] კეთებლად აუღია სამხედრო გზა [illegible] კავკასიის არმიის კორპუსისა კარაკლის-მელზერეთის მიმართულებით; ამ გზაზე მომუშავენი განთავისუფლებული იქნებიან სამხედრო სამსახურისგან გზის გათავებამდის; მუშის ქირა დღიურად 3-მანეთამდეა, საერთოდ პირობები მუშებისათვის ხელსაყრელია, ათასამდე მეტი შეკრიბა მუშა.

**ს. გურჯაანი.**

სამშაბათს, 16 მარიამობისთვეს, ადგილობრივმა სოფლის ყარაულმა შაშიაშვილმა (ტოტას ბიჭმა) თოფით დასჭრა აქაურივე მღ. ჰანტურიძეს შვილი სოსო. საქმე ამნაირად ყოფილა: სოსო ჰანტურიძე წასულა თავიანთ ვენახში ვაზის მაკრატლით ვაზების თავის წასაჭრელად, შემდეგ სხვა ადგილობრივი მცხოვრებნიც მისულან და ქეიფობა დაუწყვიათ. ამ დროს მისულა ყარაული ტოტას ბიჭი და ერთიც სხვა ყარაული. ცოტა ხნის შემდეგ ყარაულებს უთქვამთ: „ადექით წამოდით, უნდა პოლიციაში წაგასხათო“. ჰანტურიძე, როგორც ამბობენ, ტუჟურკის ჩასაცმელად მინავლებულა და ამ დროს ტოტას ბიჭს უსროლია თოფი და ფეხში დაუჭრია. ჭრილობა საგრძნობელია. ამ ბოლო დროს მეტად თავხედობენ სოფლის ყარაულები, მეტადრე ეს „ტოტას ბიჭი“.

— ამავე დღეს, საღამოთი ყაჩაღებმა თავის ვენახიდან მოიტაცეს შეძლებული გლეხის ვანო ბეჟიტაშვილის შვილი, იოსები. როგორც ხმა დადის, ხუთას თუმანს სთხოვდნენ. ეს მესამე მაგალითია, რაც კახეთში ასეთი არა სასიამოვნო ამბები ხდება. იმედია ადგილობრივი პოლიცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და როგორმე მიაგნებს ამ ვაჟბატონების კვალს.

## რუსეთის ეკლესიის გარშემო

„ნ. ვრემია“ ვოლჟინის გადაყენების შესახებ სწერს: მისგან მხურვალე მოღვაწეობას არავინ მოელოდა, მაგრამ არც იმას მოელოდნენ, რომ ეკლესიის შერყევას ნიადაგს მოუმზადებდა. „რეჩი“ ამბობს: ვოლჟინის გადადგომა არა პრინციპიულ მიზეზით, არამედ შინაურულით არის გამოწვეულიო.

„დენი“ ამბობს: სამარინის დროს საეკლესიო საქმეები გამოცოცხლდა, მიყუჩებულმა სამღვდელოებამ მოხსენებით მყუდროება დაარღვია და ეკლესიის რეფორმების საკითხი წამოაყენა. ვოლჟინმა შეასრულა თავისი მოვალეობა და ეს საქმე დამარხა და შემდეგ სრულიად უმოქმედობას მიეცა.

„ბ. ვედ.“ ამბობს: ეკლესიის საკითხის აბრუნდ-გადაბრუნდაობას ბოლო უნდა მოეღოსო. სასულიერო შენობისთვის საჭიროა გარდაუდებელი გარდაქმნის და დაბრკოლების მოცილება, რომლის წინაშეც სამარინი სუსტი აღმოჩნდაო.

## გორის კრების გამო

დღეს გორში საგულისხმიერო კრებაა. მაზრის თავადაზნაურობა მსჯელობს ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობის საკითხებზე. შენახვა და მოვლა ეროვნული დოვლათისა—ამ ერის არსებობის აუცილებელი ატრიბუტისა, ეს არსებითად და უაღრესად ეროვნული საკითხი არის. გორის კრებაც ამ მხრივ გვაინტერესებს. იქ აღძრულ საკითხებს ყველა დიდის ინტერესით უნდა შევხვდეთ. ვინ არ იცის, თუ რა საბედისწერო ხასიათი მაიღო ყველა იმ საკითხმა, რომელზედაც დღეს გორის თავად-აზნაურობა მსჯელობს. მამული—ერის დოვლათის ფუძე, ხელიდან წაგვივიდა, უდიერი და მხეცური მოქცევით დარჩენილი სამშობლოც გვივერანდება. დღეს ვერ შევეხებით ყველა საკითხს, ისეთს მთავარ საკითხსაც კი, როგორიც არის ხიზანთა საკითხი. იმედი გვაქვს დავუბრუნდეთ მას შემდეგ. დღეს ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ მეორე საკითხზედ—ტყეების შესახებ, რომელსაც პირველზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს. ვწუხვართ, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი მას თავის წერილში („ზაკ. რეჩ.“ 187) მხოლოდ შეშის გაძვირების თვალსაზრისით უცქერის. არა, ამ საკითხს ჩვენთვის უაღრესად კულტურულ-შემოქმედებითი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს ტყეებმა პატარა მასშტაბით საქართველოს ბედი განიცადა და ქართველი ერის ისტორიული პიროვნების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ნამეტნავათ მჭიდრო კავში-

რი საბედისწერო მეცხრამეტე საუკუნეში არის და ვინ იცის ჩვენ ტყეების მომავალი ჩვენ საკუთარ მომავალთან იყოს დაკავშირებული. სრული უპატრონობა, ბოროტი დაუზოგველობა, მტრობა—აი ხვედრი ჩვენი ტყეებისა. თემურ ლანგის მძუსრავ რაზმათ შემოესია საქართველოს სამხრეთით სომხობა და ერთხელ გაუვალ ტყით დაფენილი ჯავახეთ-მესხეთი—სამშობლო შოთასი—კალიასავით მოატიტვლა. არა ნაკლები დღე დააყენა ჩრდილოეთით მოსულმა ოსობამ. ასეთს გამანადგურებელს მოქმედებას წინ არავითარი შემაჩერებელი ძალა არ ეღობებოდა. მამული მუქთათ უვარდებოდათ ხელში. ისტორიული სამსახური ტყისა (მტრისგან დაცვის დროს) ჯიგარს ვერ აყრეინებდა—ამისათვის საუკუნოებითი სისხლით რწყვა არის საჭირო. ქართველების, მათთვის უცხო, სამარე-საფლავნი არაფერს ეუბნევოდენ არც მათ გულს, არცა გონებას, არც ფიქრს, არც რწმენას. პირიქით ალმოფხვრის და განადგურების ჟინს იწვევდენ მათში. ხატი „ხელს არ უხმობდა“. დროს განმავლობაში ეს საზარად მოტიტვლებული რკალი უფრო და უფრო ჰბოჭავდა საქართველოს, უშრობდა სათავეებს მის შემნახველ და მანარჩუნებელ მდინარეთ. არც შიგ შუაგულ საქართველოში ხდებოდა უკეთესი ამბავი. ძველი კანონები, საუკუნოებით შემუშავებული ადათი ირღვეოდა. მესაკუთრეთა და მომხმარებელთა შორის ახალი, უკეთესად, რომ ვთქვათ, ანარქიული წესი მყარდებოდა. დღესაც არ არის დამთავრებული გადამიჯვნამოწყობის საქმე. ხაზინის საკუთრებათ გამოცხადებულ ტყეებშიაც კი მთავრობას არავითარი რაციონალური წესი არ შეჰქონდა. ის მათრახისა და „ობიეზჩიკის“ ხელით იცავდა საკუთრებას. ასეთ პირობებში ჩვენ ხალხსაც კი გული უტყდებოდა, ჯიგარს ირიდა. თვითონაც უმოწყალოდ ექცეოდა ერთხელ დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხს. შედეგათ ის მოჰყვა, რომ განადგურდა ქვეყანა. მთლად ჩამორეცხა და უმაწიერო გახდა მთა. წაილეკა ველი. ნიადაგი გაშრა და მას ეროვნული სიმშილობა მოჰყვა. ჭეშმარიტათ, რომ ეროვნულ მნიშვნელობის საკითხზე მსჯელობს დღეს გორის კრებული.

საჭიროა სრული შეგნება ამ საგნისა მთელის თავისი სიღრმე-სიგანით და ღირსეული შველა მისი. (მაზედ შემდეგ).

ზ. ქ.

## თურქების პრესა

გაზეთ „იენი-იკბალში“ „ყაზახებში სამხედრო სამუშაო საქმე“, ამ სათაურით გაზეთ „ასოზ“-იდან გადმობეჭდილია შემდეგი.

25 ივნისს გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება, გაზეთ „სემირეჩინსკი ობლასტნოი ვედომოსტ“-ის 148 ნომერში ყაზახურსა და რუსულ ენებზე ვრცლად იყო განმარტებული. ამ განმარტებაში ყაზახებს დიდი შეღავათი ეძლეოდა. ამ ამბებს ყაზახები, თითქოს განკითხვის დღე დამდგარიყო, სასოწარკვეთილებას მისცა. არ იცოდნენ რა უნდა ექნათ. ამ გასაოცებელმა მოვლენამ დიდი ხნის ერთმანეთის მოსისხლე მტრები, ყაზახები შეარიგა, შეაერთა, თითქოს მკვდრეთით ამდგარანო, ერთ ადგილას თავს იყრიდნენ. სადაც თვალს მოავლებდი, იქ მათ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებასა და თათბირს დაინახავდი. ერთ ამბავს ათად აზვიადებდნენ. ამის გამგონი გილჩვილი ხალხი გოდებას იწყებდა, არ ეძინათ, სულ დადიოდნენ: ჩინეთში გადავსახლდეთო, ამბობდენ. ქალი და ბავშვები სამოგზაუროდ ემზადებოდნენ თუ ხვალ გზას დავადგებითო.

ამის დამნახველმა სამმართველო მოხელეებმა თავი კაცები მოიხმო და უთხრა: ყველა თქვენი ბრალი არისო. ამაზე მოახსენეს: თავიც რომ მოგვჭრათ ერთი კაციც არა გვყავსო და ამას შემდეგ ყოველი კომლიდან ერთი კაცი გამოვიდა აღნიშნულ ალაგას სათათბიროდ. ამ თათბირში სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენლებმაც მონაწილეობა მიიღეს.

ამ კრებაზე ყადიმ ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანების შინაარსი საზოგადოებას განუმარტა. თავშეყრილი ყაზახთა საზოგადოებას მსჯელობა გაუმართავს... ულაპარაკნიათ. ყადი თავისი მხლებლებით შიშს შეუპყრია: თქვენ ასე ნუ მოიქცევით, ასეთის საქციელით ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ არას ჩავდივართ, არც რამ ჩაგვიდენია. დღევანდლამდე საერთო საქმისათვის არაფერი დაგვიზოგია, ყველაფერი შევსწირეთ. მაგრამ სულს კი ვერ გავიმწარებთო, უთქვამს და მთელს კრებასაც ერთ ხმად ეს დაუმტკიცებია, მისი აზრი მიუღია. ამ სიტყვების გამგონ ყადს კრებისათვის მიუმართავს: მაშ თუ აგრეა, ამოირჩიეთ თქვენ შორის ერთი პირი და თქვენი თხოვნით გაგზავნეთ გუბერნატორთანაო.

გარდა ამისა, გოგთირექის (გოგბექთის) მაზრის მცხოვრებლებიც იყვნენ მმართველობის მიერ დაძახილი ცხენების შესაგროვებლად და როცა თავი მოიყარეს აღნიშნულ ალაგას, მართველობამ მათ ცხენის თავზე თითო კაციც მოსთხოვა. ყაზახებმა კი უთხრეს: ჩვენ ცხენების მოსაცემად მოვედით და არა კაცებისაო, მიუგეს (აქ ოთხი პწკარი გამოტოვებულია).

აიაგოზის მაზრის საზოგადოებაც მოუწვევიათ. მათაც თავიანთ მდგომარეობაზე ულაპარაკნიათ, მაგრამ ბოქაულს არ მოუსმენია: თქვენი თხოვნის მოსასმენად არ დამიბარებიხართ, არამედ ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანება უნდა გაგაცნოთო. აუხსნია და საზოგადოებაც დაუშლია. მხოლოდ ორი მოთავე კაცი და ერთი ჰაჯი შეუჩერებია და მათთვის უთქვამს, რომ მარტო აქვე კი არა, სადაც უნდა იყოს ამის მოწინააღმდეგე პირები უნდა შეპყრობილ იქმნენო.

სიმის ყაზახები მთლად გაჯიუტებულნი ლაპარაკობენ; ქარხნებსა და გემებში მომუშავე ყაზახები ერთიც არ დარჩენილა, სულყველა გახიზნულა. ვისაც ცხენი არ ჰყოლიათ, მიუციათ.

ასე რომ საერთოდ ყაზახების აზრი ასეთია: (აქ რვა ხწკარი გამოტოვებულია) ჩვენ მონა ღვთისა, მიმდევარი დიდებული მაჰმადის მოძღვრებისა, იქ წასვლასა და წვალებასა, აქ სიკვდილი გვირჩევნია. ან აქ მოვკვდებით, და ან ჩინეთში გავიხიზნებითო—ლაპარაკობენ.

ეს უკანასკნელი აზრი, ჩინეთში გახიზვნის საკითხი, მეტად ძლიერდება. ჩვენ თუ ნოღაელებს გვიჩვენებენ მაგალითებად, ჩვენ მოღალატეები არა ვართ. ყველას ერთბაშად იწვევენ, მერე ეს ხალხი რომ იქმნას ყველა გაწვეული, ჩვენ საცხოვრებელ საქმეებს ვინ უნდა მოხედოს. ჩვენგან ნივთიერი დახმარება რომ ეთხოვნათ, არ დავიშურებდითო და სხვა...

ეს საკითხი როგორ გათავდება მხოლოდ ღმერთმა უწყის.

## სიტყვა

წარმოთქმული დეკ. ახათიანის მიერ ეკატერინე სარაჯიშვილის ცხედრის სახლიდან გამოსვენების დროს.

„ყოველივე ჟამი, და ჟამი ყოველისა ნივთის ცათა ქვეშე“.

ეკკ. სოლომ. თ. გ. მ. ა

სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყოველს თავის დრო აქვს. არის დრო დაბადებისა და სიკვდილისა, არის დრო სიცილისა და ტირილისა და სხვა. დიახ, იყო დრო, როდესაც ამ სახლში იკრიფებოდენ ჩვენი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელნი სიხარულით სათათბიროდ ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო კითხვებზე. ამავე სახლს მოაშურებდა ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმენი, ეხლა კი, დადგა დრო, როცა აქ შევიკრიბენით გლოვის და ტირილისთვის. რა იყო მიზეზი პირველისა და არის მიზეზი მეორისა?

აი რა იყო პირველის მიზეზი: ამ სახლში იყო ორი სამაგალითო მთა (დავით და ეკატერინე) ვარდ-ყვავილით შემოსილნი. ფუტკარნი უხვად შოულობდენ თაფლს კაცთათვის და სანთელს ღვთისათვის. მაგრამ დახე ბედს; ერთი მთა გადიქცა... ასტყდა ტირილი და გოდება... სასოწარკვეთილებით ყველას თვალი მიეპყრო მეორე მთისთვის, მათ თვალში იმედი გამოსჭვიოდა. მეორე მთა კი იდგა მედიდურად, თითქო ტოლი არც კი დაჰკარგვიაო, იდგა... მის დუმილში იხატებოდა სიმტკიცე და სიძლიერე და აი, იგი შეიმკო ვარდ-ყვავილებით უფრო უხვად—ერთი შეხედვით კიდეც გადააჭარბა თავის ტოლს; ფუტკარნი კვლავინდებურად სარგებლობდენ ბუნების სიუხვით, მაგრამ, თითონ მთის გული კი არ იყო მთელი ტოლის დაკარგვის გამო.

ყველა გრძნობდა ამას, გრძნობდა მით უფრო, რომ სახლის კარი დაეხშოთ. თითონ სახლიც, როგორც ეკატერინეს გული, შავი ძაძით შეიმოსა, ობლად შთენილი მთა ატირებულიყო...

„ყოველივე ჟამი“. ამ სახლსაც დაუდგა ჟამი, რო კარი გაეღო და შავი ძაძა მოეშორებინა. ეს იმ დროს იყო, როდესაც გვირგვინოსანი ხემწიფე ეწვია საქართველოს. მაშინ კარნი გაიხსნენ, ძაძა მოშორდა.

ეს სახლი შეიქნა ღირსი დიდის მეფის მიღებისა. ამ დღიდან ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ხედავდა ნიშანს, რომ კვლავინდებურად დაიწყებდენ აქ შეკრებას წარჩინებულნი შვილნი საქართველოისანი სათათბიროდ ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვებზე.

სურვილი აუსრულდათ. პირველად შეიკრიბნენ მწიგნობარნი და მგოსანნი და საზოგადო მოღვაწენი ჩვენი ქვეყნისა მაშინ, როდესაც ესტუმრა წარჩინებული მსახიობი და დრამატურგი სუმბათაშვილი. აქ მხიარულად შეკრებილნი აწყობდენ გეგმას თავიანთ მომავალ მუშაობისას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თურმე ამ დროს, როცა ისე მხიარულობდენ, და ეგონათ, რომ დიდხანს, დიდხანს მთა ხელშეუხებელი იქნება, ამ სახლის კარი კი ღია,—შავი ყორანი თავს დასჩხაოდა და სული ბოროტი ხითხითობდა... მოულოდნელად ეს მეორე მთაც გადიქცა, მაგრამ იმ ადგილს ამოხეთქა ძლიერმა დაუშრეტელმა წყარომ, რომლის ნაკადულები რწყავენ და სწვდებიან არამც თუ სამშობლოს მხარეს, არამედ შორეულ ჩრდილოეთსაც!

ეხლა ჩვენც აქ შევიკრიბენით უკანასკნელად, რადგანაც ამ სახლის, სარაჯიშვილის ოჯახის, კარი ქართველთა ერისთვის იხშობა და შავი ხეწარი ეფარება. ეკატერინე ეთხოვება თავის საყვარელ მშვენიერ სასახლეს; ჩვენ კი ორივეს: ეკატერინესაც და სასახლესაც, რადგანაც:

„ყოველივე ჟამი, და ჟამი ყოველსა ნივთისა ცათა ქვეშე“.

## ქართულ საქველმოქმ. საზოგადოებაში

18 მარიამობისთვეს შესდგა ქართულ საქვ.-მოქმ. საზოგ. გამგეობის კრება, რომელმაც მოისმინა: 1) ჭანეთში მოქმედების საკითხი და დაადგინა: მიეწეროს ბათომის განყოფილებას, რომ მიიღოს ზომები ტრაპიზონში განყოფილების დაარსების შესახებ, და ამ დღეებში გაიგზავნოს ბათომში და ჭანეთში საგანგებო პირი საქმის მოსაწესრიგებლად. 2) ცენტრალ გამსესხებელი კომიტეტის მოწერილობა,—რომელიც ეკითხება მთავარ გამგეობას, აცნობოს—რამდენია გაცემული სესხად ფული თანახმად მათი ინსტრუქციისა. დადგენილ იქმნა: ეცნობოს, რომ სესხად ფული არ უძლევია მთ. გამგეობას, სამაგიეროთ დამშეულ რაიონებს აწვდიდა სურსათს რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. 3) ტატიანეს კომიტეტის ცირკულიარის შესახებ, რომლითაც კომიტეტი თხოულობს სხვა და სხვა სახელოსნოებიდან ნამუშავარ ნიმუშების მიწვდას, დადგენილ იქმნა: მოგროვდეს გასაგზავნად სხვა და სხვა ნაირი ნიმუშები საზოგადოების სახელოსნოებიდან და ეცნობოს ეს ცირკულიარი აგრეთვე იმ განყოფილებებს სადაც რამე სახელოსნო დაარსებული. 4) აჭარელის ხუსეინ აბაშიძის და ხანუმა ფღლავას თხოვნის შესახებ, რომ მათი შვილები სასწავლებელში მიღებულ იქმნენ, გამგეობამ დაადგინა: როგორც ხუსეინ აბაშიძის შვილები ისე ხანუმა ფღლავას შვილი მიბარებულ იქმნენ ავლევის სამეურნეო სკოლაში სრული შენახვით, ერთი წლის ვადით მთ. გამგეობის ხარჯზე; 5) აჭარელთა ჯემალ ნუღაი დღლის, დურსუნ ქათამაძის და ეფენდი ზადე ლორთქიფანიძის თხოვნის შესახებ, რომ შვილები ქართულ გიმნაზიაში მიიღონ, გამგეობამ დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქმნეს თხოვნები იმ პირობით, რომ მთ. გამგეობას შეუძლია ერთი წლის განმავლობაში იხადოს მარტო სწავლის ფული ამ სამი მოწაფისა ქართულ გიმნაზიაში; 6) შესახებ ტატიანის კომიტეტის განსაკუთრებულ თანხისა, რომელიც ეგზავნება საზოგადოებას, დადგენილ იქმნა: აღიძრას შუამდგომლობა ტატიანის კომიტეტის წინაშე, რომ მომავალ სამოსწავლო წელსაც ნუ მოაკლებს საჭირო თანხის გამოგზავნას 15,000 მანეთს წლიურად; 7) თელავის განყოფილების შუამდგომლობა ქინაქინის შესაძენად დაკმაყოფილებული იქმნა და 100 მანეთი გადიდო ქინა-ქინის შესაძენად. 8) თიანეთის განყოფილების თხოვნა—დახმარების ალმოჩენის შესახებ, დაკმაყოფილებულ იქმნა და გადიდო 200 მანეთი; 9) ტატიანის კომიტეტისაგან მიღებულ 11 ათასი მანეთის შესახებ გამგეობამ დაადგინა ეცნობოს კომიტეტს ფულის მიღება და გამოეცხადოს მადლობა.

## წერილი გურიიდან

(გურიის უბადლო ჭირისუფლები)

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსა“.
(ანდაზა)

„ნუ მიჰსდრეკ გულსა ჩემსა სიტყვათა მიმართ უკეთურებისათა, მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა, რომელნი იქმან უსჯულოებასა; და ნუმცა ზიარ ვარ მე რჩეულთა მათთა თანა“.
(ფსალმუნი).

ანდაზათ მოგახსენებენ „კუზიანს საფლავი გაასწორებსო, მაგრამ მე რომ ჩვენებური (ოზურგელ-გურული) კუზიანების ამბავი ვიცი, არ მჯერა, რომ მათი გასწორება საფლავმა შესძლოს, მე დარწმუნებული ვარ ისინი საფლავიდანაც („თუ გვაღირსა ის დღე ღმერთმა“) გურიის „გასწორებას“ მოინდომებენ. „დიდია გურიაზე მათი ამაგი... გურიის დედა ქალაქი ოზურგეთია, გურიის მართვა-გამგეობის წეს-რიგი აქ წყდება და მუშავდება, ამიტომ მთელი გურიის 25 სამამასახლისო ოზურგეთს შესცქერის—თავის ბედ-იღბლის გადაწყვეტა იქ ეგულვება. ოზურგეთი კი... ერთგვარი ჭაობია, რომელსაც ბატონ-პატრონობენ კუზიანი გველ-ბაყაყები, თუ გამოჩნდა ვინმე მადლიანი და მოინდომა ამ აშმორებული ჭაობის ამოშრობა, ჭაობის ბინადრები მაშინვე აიშლებიან.

„აღილესვენ ენასა მათსა, ვითარცა გველისა და გესლი ასპიტისა ბაგეთა მათთა“ (ფსალმუნი) მოჰყვებიან წუწუნს: ქვეყანა ინგრევა, ანტიქრისტე გამოჩნდა, მეორეთ მოსვლა მოახლოვდაო და სხვა მსგავს გოდებას იწყებენ. ყველამ იცის, რომ „მათ ქვეყანა და ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ“ მაგრამ აწუხებთ საკუთარი საბუდარის დანგრევა და მზათ არიან მის შესანარჩუნებლად „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ“.

მოგეხსენებათ მაზრისათვის მაზრის უფროსი ყველაფერია; გურიაში კი მაგათი მეოხებით არც ერთ მაზრის უფროსს ხეირი არ დაუყრია. ეს ვაჟბატონები ოზურგეთის კამარილაა, ფეოდალური ბატონობა კაი ხანია დაკარგეს, ეკონომიური—„გააპრადალეს“ და ახლა ცდილობენ ადმინისტრატიული ბატონობა მაინც შეირჩინონ, მიზნის მისაღწევად ცდილობენ მაზრის უფროსიდან მოკიდებული ვიდრე უკანასკნელ მამასახლის—„გოროდოვომდე“ თავისი კაცები გაიყვანონ, მეტადრე სასურველია მათთვის თავისიანი მაზრის უფროსი და თუ თავისიანი ვერ გაიყვანეს, მაშინ ეცდებიან ახლად დანიშნული გაათავისიანონ—ხელში ჩაიგდონ, რისთვისაც სამსახურში ჩადგომისათანავე ყოველი მხრიდან იერიშით მივლენ: დაჰპატიჟებენ, ბანოვანებს უფეთქებენ, ბანქოს ეთამაშებიან, ნადიმს გაუმართავენ, „რეჩს“ ეტყვიან—შეაქებენ, გურიას და მის ხალხს „გააცნობენ“, წინანდელს დაჰგმობენ, აღნიშვნენ, რომ ის იმიტომ მოიშორეს, რადგან მათი არ სჯეროდა და სხვა. ასეთი ხრიკებით თუ გაიხადეს თავის კაცად და მისი მეოხებით თვით ქრთამი ილეს, ხომ კარგი, და თუ არა, „დანოსით“, პროვოკაციით, დეპუტაციით და სხვა და სხვა მახინაციით ეცდებიან მათი არა-სასურველი პირი, მაგრამ ხალხის სასურველი, თავიდან მოიშორონ. თუ მოხდა სასწაული, მათიანი და მათი სურვილის შემსრულებელი, მაგრამ ხალხის დამრბევი მაზრის უფროსის მოცილება ხალხმა მოინდომა, მაშინ ისინი ეცდებიან თავისიანს ზურგი გაუმაგრონ და საყვედურის ნაცვლად მადლობა მოუპოვონ *). ერთი სიტყვით, ვისაც გურიაში სამსახური სურს, იმან მათი მირონი უნდა იცხოს, ვინც ამას არ ისურვებს, ის „კრამოლნიკია“, ახალთაობისაა, ხემწიფეს ღალატობს და სხვ. ასე მსჯელობენ და მედგრად საქმობენ გურიის უბადლო ჭირისუფლები, რომელთაც თამამად შეუძლიათ თავიანთი მოღვაწეობის 25—30 წ[l]ის იუბილე გადაიხადონ.

ყველა გურულმა კარგად იცის, თუ რამდენმა მაზრის უფროსმა და ბოქაულმა წაიტეხა კისერი მაგათი ჭირისუფლობით, აყოლით და **ხალხის აბუჩად აგდებით**. ნუ წავალთ შორს. გავიხსენოთ (ისიც ზოგიერთი) ამ უკანასკნელი ათი წლის, 1906 წლიდან: ერმოლოვი, ზაკუსოვი, მიქიაშვილი, კუხალაიშვილი, კალანდია, ივასიუკი, ყიფიანი (რაჭველი), ასათიანი, ჯაყელი, მენაბდე და სხვები. ამას დაუმატეთ მთავრობის ღვთისრისხვა მამასახლისები და ყველას დიდება და მშვენება გენერალი ტოლმაჩოვი. ყველა ეს პირები ოზურგელ კამარილის სასურველი პირები იყვნენ, არც ერთი იმათთაგანი ისე ფეხს არ გადაადგამდა თუ რჩევას წინად არ მიიღებდა გურიის ჭირისუფლებისაგან. რითი დაასრულეს ნეტავ ამ ადმინისტრატორებმა თავიანთი კარიერა? ციხით, ღირსების აყრით, პასუხის გებაში მიცემით, უადგილოდ გაშვებით. ზოგმა კი კატორღითაც და ზოგს აწი მოელის პასუხისგება. დავიჯეროთ ყველა ეს პირები, ვინც გურიას ათ-თერთმეტ წელიწადს მართავდა, მართლა ავაზაკები და კაცი ჭამიები იყვნენ. არა. პირიქით ზოგი მათგანი სანამ ხელში არ ჩაიგდეს—თავიანთ ემბაზში არ მონათლეს, მანამ კარგები იყვნენ. გავიხსენოთ 1904 წელს ახლად დანიშნულ მაზრის უფროსს ბ-ნ ჯ—ძეს მათრახის ხმარება და ხალხის დაწიოკება,—ვინ ასწავლა, ვინ შეაგონა. ჰკითხეთ ახლა ჯ—ძეს მადრიელი თუ არის. ჰკითხეთ მაშინდელ ბოქაულებს კ—ლს, ქ—ძეს, და სხვებს ვისი მეოხებით დაკარგეს მეზობლები.

ჰო და, აი, ესენი ფიქრობდნენ გურული ხალხის მოჭკვიანება-გაპატოსნებას—ქურდობა-ავკაცობის ამოფხვრას, უმეტესობი კი სწორედ ქურდობა-მექრთამეობისათვის დაისაჯა, ზოგიც კიდევ მეტის მეტი ერთგულებისათვის. გურიის ამ უკანასკნელი ათი წლის მიუდგომელი ისტორია რომ დაიწეროს და შიგ აღინიშნოს თუ როგორ სძიძგნიდნენ და ხრავდნენ ხალხს, ეს წიგნი დიდ ტანიანი და კარგი საკითხავი იქნებოდა—ხალხიც გაიგებდა თუ ვინ იყო მისი ბედ-იღბლის ბატონი.

კამარილის ერთი გრძელი წევრი თვით იყო საპატიო მოხელე (ჩინოვნიკი), მაგრამ პროვოკაციის მოწყობისათვის განიდევნა, დაბეჯითებით მოგახსენებენ, რომ კამარილის ნათლულს ერთ მოხელეს ჩ—ნსაც იგივე ბედი მოელოდა, მაგრამ უეცარმა სიკვდილმა გაბახებისაგან იხსნაო. საკვირველიც არ იყო თუ ამათ ხელში გურია შეფორიაქებული იყო, მყუდრო ცხოვრება დარღვეული და ავკაცობა გაძლიერებული, მაგრამ გვიბრალა განგებამ და ზოგიერთა პირის გმირობამ. დიახ მხოლოდ გმირს შეეძლო ხმის ამოღება და ჩივილი. გურულებისაგან ძეგლ დასადგმელია გენერალი შიგროვსკი, რომლის მიუდგომელმა გამოძიებამ პასუხის გებაში მისცა ზაკუსოვი და კამპანია და მით ჩვენს ჭირისუფლებსაც მწყალობელ-მარჩენალი მამა მოაშორა.

ზაკუსოვის შემდეგ მაზრის უფროსად დანიშნეს ბ-ნი მახარაძე, გურული,—გურულების ავკარგის მცოდნე. სცადეს მაგრამ მახარაძეს თავისი ნათელი ვერ სცხეს. მას გადაემტერნენ, მაგრამ სამაგიეროთ ის ხალხმა შეიყვარა, ბევრი გადავარდნილი პირი თავისით გამოეცხადა, გურულების ცხოვრება მყუდრო კალაპოტში ჩადგა, ხალხმა სამართალი უქრთამოდ უშუამდგომლოთ ჰპოვა. მაზრის კეთილდღეობა შეშურდათ და ის იყო მახარაძის წინააღმდეგ ირაზმებოდნენ, მაგრამ ამ დროს ბ. მახარაძე ქუთაისის პოლიცმეისტრად გადაიყვანეს.

ჭადრის ქვეშ *) მხიარულობას მიეცნენ, ხალხი კი სწუხდა, შიშობდა, ვაი თუ მის მაგიერი ისევ ზაკუსოვისებური გამოგვიგზავნონო. საბედნიეროთ დაინიშნა ბ. ჩერნოვი, რომელმაც ახლოსაც არ გაიკარა არც-ერთი მათგანი, პირ-იქით ის დაერიდა მათ ნაცნობობასაც კი.

აიმრიზნენ და უცდიდნენ მარჯვე დროს შური ეძიათ, ეს დროც დადგა: გამოცხადდა ომი და უეცარი მობილიზაცია. მღვრიე წყალში მონადირეებს გაუხარდათ, რადგან იფიქრეს გურულები ჯარში არ წავლენ, ქვეყანა აირევა, ეგზეკუციას მოვითხოვთ და ჩვენ ისევ ვიკალმახებთო, მაგრამ აქაც მარცხი, ბ-ნ ჩერნოვის მამაშვილურმა და ინტელიგენტურმა ტაქტიკამ ზაკუსოვის მათრახებზე უფრო გასჭრა—ჯარისკაცები უარის ძახილით და იმაზე მეტი წავიდნენ, რაც მოთხოვნილი იყო. ამ რიგათ ბ. ჩერნოვმა პირველი გამოცდა ჩინებულად დაიჭირა, ის ხალხის თვალში შემდეგაც ამაღლდა, რადგან რჩევა-დარიგებით ხალხს ეხმარება სკოლებისა და კოოპერატივების გახსნაში და გზების გაკეთებაში. ამ ორი წლის განმავლობაში მას არც ერთხელ რეპრესიისათვის არ მიუმართავს და მშვენიერად დაამტკიცა, რომ უაპეკუნოდაც შეუძლია მაზრის მართვა.

...მის საწინააღმდეგოთ „სადანოსო“ კალამს იმარჯვებენ, მაგრამ საბაბი ვერ იშოვეს. გაზაფხულზე ულმერთოებმა მოჰკლეს მემამულე თ. ვანო გურიელი, მისი მოკვლა ისევ თავისიანებს გაუხარდათ, იფიქრეს მის სიკვდილს ხალხის მოძრაობას დავაბრალებთ, მაზრის უფროს უმოქმედობას და ახალთაობის მომხრეობას შევწამებთ და მით მას (ბ. ჩერნოვს) თავიდან მოვიშორებთო. მაგრამ აქაც კოვზი და ნაცარი ერთად დარჩა. ბ-ნ ჩერნოვისავე მეოხებით ხალხის მართლა ჭირისუფლებმა ახსნეს, რომ გურიელი კერძო შურისძიებით არის მკვდარი.

ჩვენი კეთილის მყოფლები მაინც არ ისვენებენ და ახლა დაბეჯითებით გავიგეთ ბ-ნ ჩერნოვს უჩივიან, რომ თითქოს მთელი გურია დეზერტირებით იყოს სავსე და ის კი ხელს აფარებდეს, როგორც დეზერტირებს ისე ახალთაობის კაცებს. ასეთი უტიფარი „დანოსით“ ცდილობენ დამშვიდებული გურია კვლავ ააფორიაქონ და მას მოაშორონ მისი კეთილდღეობისათვის მზრუნავი მაზრის უფროსი თავას კეთილშობილი თანაშემწით. ჩვენ არ გვჯერა, რომ ახლანდელ გუბერნატორთან (რომელმაც თვით აღიარა, რომ ჩემს გუბერნიაში ყველაზე უკეთესი გურიააო), მათ დანოსებს რაიმე ფასი დაურჩეს, მაგრამ თუ მაინც ამ გრძელ წერილს ვწერთ, ვწერთ იმიტომ, რომ დაე ყველამ დაიჯეროს ვინაა მისი ჭირისუფალი, დაე მთელი გურია დარწმუნდეს, რომ გურიის აპეკუნებს თვით სჭირია აპეკუნი და მათი „ხლიჩინა“ დანოსი ვეღარას გასჭრის. თქვენ კი ბატონო აპეკუნებო, მადლობას მოგახსენებთ, გეყოფათ ჩვენზე ზრუნვა, აწი დაისვენეთ, ვიცით ეხლა ქანქარს არიგებთ და ცდილობთ „პატიოსანი“ მოწმეების ჩვენებით გაამართლოთ ზაკუსოვი და კამპანია, მაგრამ დარწმუნდით, რომ ნამუსიანი გურული არც ერთი თქვენ ხელს აღარ მოგიწყობს.

ერთხელ კიდევ მოგაგონებთ ქართულ ბრძნულ ანდაზას: „რაც რომ თხამა თრიმლსა უყო, იგი თრიმლმა თხისა ტყავსა“.

თემისთოკლე.

*) გაიხსენეთ გურიის დამრბევი მაზრის უფროსი ზაკუსოვი და ოზურგელთა დეპუტაცია ვატაცისთან.

თ. თ.

*) ჭადრის ქვეშ—კამარილიას სათათბიროა, ისინი აქ იყრიან თავს.

ავტ.

## დაბა-სოფლები

**ს. გურჯაანი.** მოახლოვდა თუ არა ვენახების წამლობის დრო წელს, დაფაცურდნენ აქაური ჩარჩ-მოვაჭრენი და აღარ იცოდნენ რა ექნათ. ბოლოს როგორც იყო, გამონახეს ერთნაირი ხერხი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჩვენებური უწამლობისაგან შეწუხებული გლეხ-კაცობა ვერ მიუხვდა. სესხი ამ ნაირი იყო: ერთ მშვენიერ დღეს შეიკრიბნენ აქაური გაიძვერა მოვაჭრენი: ბუღდან ჯალალიანცი, კოლა არაქელიანცი და ნიკა პეტრიანცი (ეს უკანასკნელი თუმცა ქართველია, მაგრამ ესეც იმათ პარტიისაა) და გადასწყვიტეს შეეკრიბნათ გლეხებიდგან ფული და მეეტანათ გოგირდი! ასეც მოიქცნენ. დაფაცურდნენ მეორე დღეს, ერთი კარდანახში, მეორე ბაკურციხეში და მესამეც ველისციხე—ჩუმლაყ—ახაშენში და ყველას დასტყუეს ათ-ათ თუმნიანები. (გურჯაანში ხომ იშვიათია ისეთი გლეხი, რომლისათვის ერთი ათი თუმანი მაინც არ გამოერთმიოს.) ესენიც აძლევდნენ საწყლები, იმ იმედით, რო ხვალ ხვალზევით შაბიამან-გოგირდს მოგვიტანენ და როგორმე გადავარჩენთ ჩვენს ვენახებს ჭირისაგანაო. ფულების კრეფამ მთელი ორი კვირა გასტანა. შეკრიბეს 1—2 ათას თუმნამდის და მოუსვეს, ვინ იცის რომელ კუთხისკენ. ერთი კი აქ დარჩა, პეტრიანცი, თუ არ წაეყვანათ ღმერთო შეგცოდე, გზა აგერევა და სადმე დაგვეკარგებიო! როგორც იყო გამოეთხოვენ ერთმანეთს, ერთმა ალთასა ჰკრა ფეხი, მეორემ ბალთას, პეტრიანცი კი დღე-დღეზე ელოდებოდა და აჯერებდა—ხვალ ხვალ-ზევით გოგირდი უეჭველად გაჩნდება, ორი ვაგონი გამოუგზავნიათო.

გაიარა აპრილმა, მიჰყვა მაისი, მიიწურა თიბათვეც, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მკითხველო, რომ გოგირდის ნასუსალაც არსად არის! ვინ იცის კიდევ ამ პეტრიანცმა რამდენჯერ ჩაიტანა და ამოიტანა ცარიელი „კაჭკა“ გურჯაანის სადგურზედ გოგირდისთვის, მაგრამ ამაოდ. ბოლოს როგორც იყო ფოშტით გამოეგზავნა რამდენიმე ფუთი გოგირდი ჯალალიანცს. ამოზიდა პეტრიანცმა, მაგრამ ვის გააწვდენს? ზოგიერთ გლეხს ეხარბნა და ოცი ფუთი შეეკვეთნა. როგორც იყო ცოტა-ცოტა მოურიგა ზოგიერთს ათ-ათ გირვანქობით. ზოგი კიდევ კერძოთ გაყიდა, ვისაც შეკვეთილი არა ჰქონდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ

ვინც წინათვე ფული მისცა, იმისთვის 35 მ. უნდა მიეცა ფუთი, კერძოთ კი 60—70 მან. ჰყიდდა. მაგრამ განა გოგირდი იყო ისა, მკითხველო! არა!.. ნახევარი ბზე, ცემენტი და ხვინჯა ერია, რომლის გამო, როგორც ტყვია ისეთი იყო, რაც ინსტრ. გოგნიაშვილმგონა ნახა და ბევრმა კიდევ სხვამ. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ჩვენი მხსნელი მოვაჭრენი არსად ჩანან. თურმე ქალაქებში ხალხის ფულით გაუჩაღებიათ ვაჭრობა, ჰყიდულობენ და ჰყიდიან, აქ კი დაღონებული გლეხნი შეჰყურებენ იმათ მობრძანებას,—გოგირდი თუ ვერ მოგვიტანეს, ფულები მაინც მოგვცენო. მოვიდნენ როგორც იყო კაი ხნის შემდეგ, მაგრამ—რის ფულები, რა ფულები, თქვენი გულისათვის ვიზარალეთ, გოგირდი წაგვართვესო. ზოგს თუ მისცეს, ვისიც უფრო ხათრი და შიში ჰქონდათ, ზოგისა კი დღესაც იმათთან არის. აი ამნაირი ხრიკი გამოსდეს ამ ახალ მოდის მოვაჭრეებმა ჩვენ გლეხ-კაცობას და დღეს კი ალხინათ დაბრძანდებიან ჩვენთან ერთად. იმედია გლეხკაცობა პასუხს მოსთხოვს ამ ვაჟბატონებს და როგორც წესია ისე გაუმასპინძლდებიან მოტყუებისთვის.

ჩაქუჩი

—

**ს. ველისციხე.** აქ არსებობს აკაკის სახელობის უფასო სახალხო სამკითხველო. ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფება სამკითხველო, არ შეიძლება კაცმა გვერდი აუხვიოს და არ აღნიშნოს მისი რეგრესიული ზრდა-ვითარება.

სამკითხველოს ისეთი პირები მოჰქცევიან სათავეში—რომელნიც თითქოს სახალხო საქმეს ეთაყვანებიან—საქმით კი გვიჩვენებენ თავიანთ უყურადღებობას სამკითხველოსადმი, გულცივობას და შინ-ჩრდილობას. პარტიულმა ქიშპობამ აქაც იჩინა თავი. სამკითხველოს გამგეობის წევრთაგანი ს. მაჭავარიანი, ხელობით დურგალი, რწმენით „მარქსისტი"—ხალხს უქადაგებს, რომ სამკითხველო მხოლოდ თქვენთვის არისო, სამკითხველოს კარები უნდა დაკეტილი იყოს ყველა იმათთვის, ვინც ვაჭარია, ვინც ინტელიგენტია, ვინც „კაკარდებს" ატარებს და იმათთვინ, რომელთაც თავზე ნწვანე ქუდები დაუხურავთ, სტუდენტობით ამაყობენ და ქართველ ხალხს განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა შეერთებისაკენ მოგვიწოდებენო.

დიახ! ამ ვაჟბატონის წყალობითაა, რომ დღეს ჩვენ სამკითხველოს მრავალი ძველი ნომრები გაზეთისა აკლია. მოუნდება ბურბუშელის გაგზავნა სახლში (სადურგლო სამკითხველოს ახლოს აქვს) და მაშინვე სამკითხველოს ძველ გაზეთებს ცძგრება, წაიღებს, ბურბუშელას შეახვევს და ისე გაიტანს სახლში. ერთხელ შეკითხვაზე—სახალხო გაზეთს რა უფლებით ართმევ სამკითხველოსო? ასე უპასუხა: სახალხო სამკითხველო დურგლების, ხარაზების და ნოქრებისაო; მაშასადამე უფლება გვაქ რომ ძველი გაზეთებით ჩვენვე ვისარგებლოთო.

ეს კიდევ არაფერი, ახლა სამკითხველო თავის სადურგლოდ გადუქცევია. რა გინდა სული და გული, რომ იქ არ ეწყოს. ბუფეტის შკაფი, სკვრები, ტაბურეტკები თუ სხვა რამ.

აი სწორედ როდესაც ასეთი პირები მოექცევიან სათავეში სახალხო დაწესებულებას, მაშინ იგი თავის დანიშნულებას სცდება და ვიწრო ჯგუფურ დაწესებულებად ჰხდება.

სარევიზიო კომისია ახლო მომავალში კრებას იწვევს და იმედია გამგეობაში ენერგიულ, ნამდვილ სახალხო მუშაკთ ამოირჩევენ—მით უმეტეს ასეთი ძალები ველისციხეს მოეპოვება.

ა. ველისციხელი.

**ხონ. მეჯვრისხევი.** 10 ამა მარიამობისთვეს აქ მოხდა მეექვსე საბლაღოჩინო ოლქის მღვდელთა და მედავითნეთა კრება. სხვა საკითხთა შორის სჯა გამოიწვია საქართველოს სასინოდო კანტორის დადგენილებამ შესახებ ქართულ საეკლესიო ბეჭდების გაუქმებისა. როგორც გამოირკვა სამღვდელოებას არავითარი სურვილი არ აქვს განიშოროს, ანუ სხვაზედ შესცვალოს ეს ერთად-ერთი ნაშთი წარსულისა. ვინაიდგან კანტორის დადგენილება გამოწვეულია უმთავრესად საფოსტო დაწესებულებათა მოთხოვნით, კრებამ თათბირის შემდეგ დაადგინა: ეთხოვოს საქართველოს ეგზარხოსს, რათა ნება დართოს მომავალ საეპარქიო კრებას მსჯელობა იქონიოს ამ საკითხზედ, მანამდის კი, თუ ფოსტის დაწესებულებათათვის აუცილებელი საჭიროება არის, რომ სამღვდელოების მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია (казенныя корреспонденціи) რუსულ ბეჭდით იყვეს დაბეჭდილი—სამღვდელოებას ნება დაერთოს ქართულ ბეჭდის გარდა შეიძინოს—მხოლოდ მოხსენებულ მიზნისათვის—განსაკუთრებული რუსული ბეჭედი ზედწარწერით „პაკეტებისათვის", დანარჩენ შემთხვევაში ქართული ბეჭედი ხელშეუხებელი დარჩეს, ვიდრე საკითხი გამოირკვეოდეს საეპარქიო კრებაზედ. ოლქის სამღვდელოება დაიმედებულია, რომ საეპარქიო კრება ნებას გამოითხოვს ვისდამიც ჯერ არს მოხსენებულ საკითხზედ სჯა იქონიოს და ეს, თითქმის ერთად-ერთი ნაშთი ჩვენი ეკლესიის წარსულისა, უდავოდ არავის დაუთმოს.

ვინმე თოხელი.

—

**მანგლისი.** სამშაბათს 16 მარ. „განათლების" საზ. წევრების თაოსნობით ძველ მანგლისის უძველესს დიდებულ ტაძარში მამა ჩიტაძემ პანაშვიდი გადაიხადა სამაგალითო ქველმომქმედის ახლად გარდაცვალებულის ეკატ. ივ. ასულის და დავ. ზაქ.-ძის სარაჯიშვილების სულის მოსახსენებლად. მამა ჩიტაძემ დამსწრე საზოგადოებას ამ ორი დიდებულის გვამის ღვაწლი მოკლედ გააცნო. პანაშვიდს ქართველი მოაგარაკენი, მემამულენი და ბევრი სხვანიც დაესწრნენ. ეს ორი უკვდავი პირი ქართველების გულში სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩებიან არა თუ ,მარტო როგორც ქველმომქმედნი არამედ როგორც შრომის მოყვარენი, რომელთაც არარაისაგან შეჰქმნეს ამისთანა დიდებული საქმე. ბევრს სამუდამო ლუკმა გაუჩინეს, ათასობით მუშას ჰკვებავდნენ და დიდ-ძალი ქართველი ოჯახი შრომას შეაჩვიეს და უზრუნველ ჰყვეს.

ყველაზე უფრო მეტს კმაყოფილებას და სიმშვიდეს იგრძნობს დავით ზაქ. ძის სული, როდესაც საყვარელ საქართველოს შვილები მის ანდერძს შეასრულებენ. ის ყოველთვის იძახდა, რომ „ჩვენი პატარა, ლამაზი და მდიდარი სამშობლო მაშინ აღორძინდება, როდესაც ჩვენი შვილები თავიანთ მამა-პაპეულ მამულს კი არ გაფლანგავენ არამედ შრომის და ცოდნის შემწეობით ერთი ასად აქცევენო". თითონ ეს ანდერძი შესრულა და მრავალი სიკეთეც დასთესა. იმედია ამ ორი დიდებული სულის მაგალითის მიმდევარი ბევრნი გამოჩნდებიან და საუკუნო ხსენებას დაიმსახურებენ.

ერთი მოაგარაკეთაგანი.

# ანგარიში

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ 7 მარიამობისთვეს ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში მოათავსოთ თქვენ მიერ პატივცემულ გაზეთში.

**შემოსავალი:**

| | |
|---|---|
| ბავშვების ბილეთებიდან | 132 მან. |
| დიდების ბილეთებიდან | 122 მ. 80 კ. |
| კოისკებიდან | 47 მ. 05 კ. |

**შემოსწირეს:**

| | |
|---|---|
| გბ. ალ. ქლენტმა | 5 მ. |
| ალ. დიასამიძემ | 1 მ. 60 კ. |
| ექიმმა მილევსკიმ | 2 მ. |
| ი. გამრეკელიძემ | 1 მ. 20 კ. |
| ტრიფონ ჯაფარიძემ | „ 50 კ. |
| სულ | 312 მან. 15 კ. |

**გასავალი:** *)

სულ 154 მან. 39 კ.

მადლობის ღირსნი არიან ზემო აღნიშნული პირნი ფულის შემოწირვისთვის. ქ-ნ. ი. ზიქსისა ტორთის შემოწირვისთვის, მხატვარი ბ. ტარხარაიანცი კოისკის დახატვისთვის. ქქ. მ. და თ. ცაგურიები, მ. ოლხოვიკოვა, ნ. ტინიანოვა, თ. დალაქიშვილი, რომლებმაც თავიანთ მოხდენილ დეკლამაციით დაატკბეს დამსწრე საზოგადოება. ქქ. ლ. და ელ. მაჭავარიანები, ოლ. ნოდიასი, ბ. ქურდოვანიძე, ნ. სოკოლოვი, ვ. ი. გამრეკელიძე, პ ხარებაშვილი, ი. ი. მგალობლიშვილისა, ლ. ბერძნიშვილი, ქქ. ტრაპი და ყველა ისინი, ვინც კი რითიმე საღამოს გამართვა-მოწყობაში დახმარება აღმოგვიჩინა.

საღამოს გამგენი: ქქ. მარო შალიბაშვილი, მარიამ იანათამაშვილისა, ელენე ორჯონიკიძე.

*) აქ ჩამოთვლილია დაწვრილებით. რედ.

# უღვლად უსაფუძვლო საყვედური!

(წერილი რედაქციის მიმართ)

2-ს ამა თვის რიცხვს თქვენს პატივცემულს გაზეთში „ვინმე მოწაფემ" დასტამბა წერილი სათაურით „თბ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა უნუგეშო მდგომარეობა", რომელშიაც იგი ამბობს, ჩვენი გიმნაზიის მამათ-მთავრებმა დიდი უბედურობა მოგვიტანესო, მათი წყალობით მთელი მოზარდი თაობა უბრალო ჯარისკაცად გაჰყავთო და უსპობენ საშვალებას განაგრძონ სწავლაო; 80 მოწაფეზე მეტი დღეს სრულიად უპატრონოდ, სრულიად უნუგეშოდ უცდის ახლო მომავალს, რომელიც მათ დიდს უბედურებას მოუტანსო; 1896 წელს დაბადებული მოწაფე უკვე ჯარისკაცის ტანისამოსშია, იგი უკვე სალდათია და მერე ვისი წყალობითო,—გიმნაზიის მესვეურების (გულისხმობს დირექტორსა და ინსპექტორს) წყალობითო. აი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეები თავისუფალნი არიანო; იქ ეცადნენ, გააკეთეს, რაც გასაკეთებელი იყო და ჩვენი მამებივით ალბად უსაქმოდ არ იყვნენო; როდესაც აქ დაღვრემილი მოწაფეები მიადგებოდნენ გიმნაზიის კარებს ივლისის პირველ რიცხვებში და შველას ითხოვდნენ, იმ დროს ინსპექტორი აგარაკად ბრძანდებოდა ქვიშხეთში და დირექტორი სოფლადო და სხვ.

ყოველივე, რაც ხსენებულს წერილში ნათქვამია, სრულიად მოკლებულია სიმართლეს, გარდა იმისა, რომ ინსპექტორი ქვიშხეთში იყო რამდენსამე ხანს და დირექტორი სოფელში (ამ დროს, რასაკვირველია, გიმნაზიაში იყო მათი თანამდებობის აღმასრულებელი ერთი მასწავლებელთაგანი). გიმნაზიის გამგე კომიტეტმა, მე და ინსპექტორმა, ყოველი ზომა მივიღეთ დაუყოვნებლივ, როგორც კი გამოვიდა მმართებლობის განმარტება, რომ კერძო გიმნაზიების მოსწავლეებს ვადა უნდა მიეცესთ სწავლის დასრულებისათვის არა Присутствіе-ბისაგან, არამედ სახალხო განათლების მინისტრისა და სამხედრო მინისტრის შეთანხმებით და იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია სამხედრო ბეგრის წესდების 81 მუხლშიო. მაშინვე შევადგინეთ მოსწავლეთა სიები (1 მაისს და 26 მაისს, №№ 66 და 88), და ეს სიები გამგე კომიტეტმა გაგზავნა, სადაც-ჯერ არს, შუამდგომლობით, რომ მიეცათ ჩვენი მოსწავლეებისათვის ვადა გიმნაზიაში სწავლის დამთავრებამდის. ამ შუამდგომლობას დაერთო კიდევ გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის შუამდგომლობა, რომელმაც ტელეგრამა გაუგზავნა მინისტრს და სთხოვა იგივე, რაც გამგე კომიტეტმა. სამწუხაროდ, არა გამოვიდა-რა 1896 წელს დაბადებულთათვის. ბრძანება იყო საყოველთაო, ყველა კერძო გიმნაზიების მოწაფეები უნდა გაეწვიათ, რომელნიც 1896 წელს დაბადებულან, და გაიწვიეს კიდეც; განათავისუფლეს მხოლოდ ისინი, ვინც დაბადებულა 1897 წელს. ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეებსაც იგივე ბედი ეწვიათ. არც იქაურები არიან თავისუფალნი, თუ ჯერ წაყვანილნი არ იყვნენ, როდესაც „ვინმე მოწაფე" თავის წერილსა, სწერდა, იმიტომ—რომ თითონ არ გამოცხადებულან, დაუგვიანებიათ, იქნება როგორმე უწყება არ მიუღიათ, მაგრამ თუ არ გამოცხადდენ მალე, პასუხის გებაში მიეცემიან.

სწორედ იმ დღეს, როდესაც „ვინმე მოწაფის" წერილი გამოვიდა თქვენს გაზეთში, როგორც თქვენსავე გაზეთში ნათქვამი იყო ამ თვის 4-ის ნომერში, თბილისს ჩამოვიდა ქუთაისიდგან იქაური თავად-აზნაურობის მინდობილობით საგანგებო დეპუტაცია, რომელსაც სხვათაშორის უნდა ეშუამდგომლა იმაზედაც, რომ 1896 წელს დაბადებული მოწაფეები ქუთაისის ქართული გიმნაზიისა არ გაეყვანათ სამხედრო ბეგარის მოსახდელად. ამ საგანგებო დეპუტაციამ მიიღო უარი ამ თხოვნაზე.

მთელი მოზარდი თაობა უბრალო ჯარისკაცად გაჰყავთო, სწერს „ვინმე მოწაფე". რომელი მოზარდი თაობა? 1896 წელს დაბადებული 80 კი არა, სულ 29 (ოცდა ცხრა) იყო და მათ შორის 13 (ცამეტი) მოსწავლე იმათგან, რომელთაც წელს გიმნაზიის კურსი დაასრულეს. ამ 13-ს საზოგადო წესით მიეცათ ვადა ლვინობისთვემდის, რომ მსურველთ შეეძლოსთ შესვლა მაღალ სასწავლებლებში. დარჩა 16 (თექვსმეტი) მოსწავლე 1896 წელს დაბადებული, რომელნიც უნდა გამოცხადებულიყვნენ სამხედრო ბეგრისათვის. აქ დირექტორი და ინსპექტორი გიმნაზიისა რა შუაში არიან? განა ჩვენ, დირექტორს და ინსპექტორს, შეგვიძლია გავაუქმოთ უმაღლესი მართველობის ბრძანება და ხელმწიფის კანონი? მართალია მოსწავლეები დაღვრემილი იქნებოდნენ, უეჭველია შეწუხდებოდნენ, რომ სწავლის გაგრძობა მოესპოთ (ამას ჩვენც ვსწუხვართ), მაგრამ „ვინმე მოწაფეს" მაინც საფუძველი არა ჰქონდა სიმართლეს მოკლებული ცნობა მიეცა რედაქციისათვის და დაებრალებია ჩვენთვის უზრუნველობა.

გთხოვთ აპატიოთ, ბ-ნო რედაქტორო, ეს შეცდომა, და მე ჩემის მხრით დარიგებას ვაძლევ, კვლავ აღარ ილაპარაკოს და აღარ სწეროს იმ საგანზე, რომელიც კარგად არ გაუცვნია.

გამგე გიმნაზიისა ა. ჭიჭინაძე.

19 მარ. 1916 წ.
თბილისი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი


# იყიდება შემოსავლიანი სახლი

ოლქის სასამართლოს გვერდით 62,000 მანეთად. იძლევა წლიურს საერთო შემოსავალს 6892 მან. სახლი გაშენებულია კუთხე ადგილას. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ: მიხეილის პროსპექტი, № 97, ბინა 25, გაჟონიას. ტელეფონი № 9-25. შეიძლება ნახვა დილ. 8—9 და სად. 4—6 საათამდე.
(3—219—3)

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 | „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | № 3, | . 7 | „ 58 | „ სად. |

# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.
—300—

# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ

ცნობის კონტორას

# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

# საგალანტერიო მაღაზია
# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
# ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ჰ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

# სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

„სორაპანის" გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

# ქართველი მწერლები

ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი

# ქართველი მწერლები

ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.

პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძეს.
(10-295-9)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ჰ წიგ. მაღაზია

# „განათლება"-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჟმუზონის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.